განკარგულება:**g-81. 81260844**
თარიღი:**25/03/2026**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №8

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის‘‘ 88-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. /დანართები თან ერთვის/.

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

3. ყურადღება მიექცეს ბიუჯეტის სწორად დაგეგმვას და საეზერვო ფონდის ხარჯვა იყოს უფრო ეფექტური და გამჭირვალე.

4. დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიას მეტი ყურადღება დაეთმოს ინფრასტრუქტურული პროექტების სწორად დაგეგმვასა და მოცემულ ვადებში შესრულებას.

5. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვასილ საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი